თბილისი, საქართველო
დეკემბერი 2023
ავტორი: ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

წლიური სამოქმედო ანგარიში

ოფიციალური გახსნის ცერემონია

2023 წელი საზეიმოდ დაიწყო: 19 იანვარს, ნათლისღებას, „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი“ ოფიციალურად გაიხსნა. დარბაზი სავსე იყო ძვირფასი სტუმრებით - აქ იყო ყველა, ვინც წლების განმავლობაში გულშემატკივრობდა და მხარს უჭერდა კამპუსს, რჩევით თუ ქმედებით, სიტყვით თუ საქმით. აქ იყვნენ სკოლის მშობლები, კოლეგები თბილისის, საგურამოსა და მაწევნის პარტნიორი სკოლებიდან, ანთროპოსოფიული პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ყოფილი ვალდორფის მოსწავლეები, მეგობრები.
მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა კრისტოფ იოჰანსენმა, ჩვენმა მენტორმა გერმანიიდან. მან „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში ვალდორფის პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის” (IAO) სახელით მიულოცა კამპუსის საზოგადოებას ეს დღე.
ბატონმა კახა ერაძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოადგილემ, თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ტრადიციულ და ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის პოზიტიურ პოტენციალს.
ცერემონია შესანიშნავი მუსიკალური თანხლების ფონზე მიმდინარეობდა და ეს ვალდორფის სკოლის ყოფილი მოსწავლის, ქალბატონი სალომე ბუკიას სიმებიანი კვარტეტის დამსახურება გახლდათ.
კამპუსის კოლეგიისთვის ფასდაუდებელი რამაა საზოგადოების მხრიდან ამხელა მხარდაჭერისა და კეთილგანწყობის ხილვა. მადლიერები ვართ ყველასი, ვინც მოვიდა და მათიც, ვინც მოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ ფიქრებით, სულითა და გულით ჩვენთან იყო.
ასეთი მხარდაჭერა მოტივაციას გვმატებს გავაგრძელოთ წინსვლა დიდი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობის გრძნობით!

საბავშვო ბაღი

საბავშვო ბაღის სამი ჯგუფი 2023 წელსაც ფუნქციონირებდა სრული დატვირთვით (სულ დაახლოებით 60 ბავშვი). საბედნიეროდ, საბავშვო ბაღში საკმარისი კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელი მუშაობს, ასე რომ უფროსი აღმზრდელის წასვლის შემდგომ საბავშვო ბაღის ფუნქციონირება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა თავისი მრავალფეროვანი საქმიანობით შიდა და გარე სივრცეში.

ნაკლებად შესამჩნევი ბავშვებისთვის, მით უფრო აღმზრდელებისთვის, იყო

საბავშვო ბაღის სახელმწიფო აღიარებაზე მუშაობა, რომელიც ინტენსიურად დაიწყო 2023 წლის შემოდგომაზე. საქართველოს განათლებისა და ახლგაზრდობის სამინისტროს ცნობით, სკოლების მსგავსად, უახლოეს მომავალში ქვეყანაში საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი დაიწყება. დაცული უნდა იყოს სტანდარტები ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო შინაარსისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის სფეროებში. დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ყველა ამ მიმართულებით „ვალდორფის პედაგოგიური კამპუსი ლისის“ საბავშვო ბაღი უკვე აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნებს. თანამშრომელთა კვალიფიკაციის კუთხით „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმაც“ მოგვთხოვა სტაჟირების გავლა და მათ ტრენინგ პროგრამაში მონაწილეობა „ალტერნატიული პედაგოგიკის“ მოდულში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

2023 წლის სექტემბერში მივიღეთ კიდევ ერთი პირველი კლასი, ასე რომ „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუს ლისს“ ამჟამად აქვს პირველი, მეორე და მესამე კლასი (ჯამში დაახლოებით 45 ბავშვი).

„მოძრავი საკლასო ოთახის“ კონცეფცია გაფართოვდა მესამე კლასის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. 2023 წელს სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტები იყო ერთობლივი ექსკურსია მარტყოფში, სასკოლო ზეიმები ივნისში, მარცვლეულის პირველი თესვა კამპუსში და ბუნების მადლიერების დღესასწაული ოქტომბერში. გვქონდა ასევე „ადვენტის“ აქტივობები დეკემბერში, რომელიც დაგვირგვინდა კლასების შესანიშნავი საშობაო ფერხულით.

ჩვენი გულითადი სურვილია, კლასები უფრო სწრაფად შეივსოს. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფონის გათვალისწინებით მოთმინებით შევყურებთ მომავალს და დარწმუნებულნი ვართ, რომ მონდომება, გარჯა, ჩვენი შრომა ნაყოფს გამოიღებს. უახლოეს წლებში უფრო მეტ მოსწავლეს, უფრო მეტ მოზარდს შევუქმნით ზრდისა და განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს.

2023 წლის იანვარში სკოლაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. პირველი და მეორე კლასის მასწავლებლებმა ერთდროულად დატოვეს პოზიცია 2022 წლის დეკემბერში. ორი ახალი კლასის მასწავლებლის მზადყოფნის, ღიაობისა და გამბედაობის დამსახურებაა, რომ ორივე კლასის მუშაობა გაგრძელდა შეფერხებების გარეშე. მოსწავლეებმა მალევე გაიცნეს მოსიყვარულე ახალი მზრუნველები და მიიღეს ისინი, როგორც სანდო საყრდენი.

კამპუსის ოფიციალური გახსნის ცერემონია, ისევე როგორც აღდგომისა და საშობაო ბაზრობები, უმნიშვნელოვანესი მომენტები იყო მთელი ორგანიზაციისა და ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

გადამზადების სემინარი და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდა

საბავშვო ბაღის ორი პოტენციური აღმზრდელი და ოთხი მასწავლებელი დაესწრო კამპუსის ერთწლიან ვალდორფის პედაგოგიკის გადამზადების კურსს 2022/2023 სასწავლო წელს, ხოლო ორი საბავშვო ბაღის მასწავლებელი და სამი მასწავლებელი 2023/2024 სასწავლო წელს. განსაკუთრებით მოხარულნი ვართ, რომ ამ თერთმეტი სტუდენტიდან ცხრა ამჟამად სრულ განაკვეთზეა დასაქმებული ჩვენთან.

კამპუსის კოლეგია ასევე ინტენსიურად მუშაობდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე პედაგოგიური კონფერენციის ფარგლებში. თეორიულ ნაწილში პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა რუდოლფ შტაინერის სამ ძირითად პედაგოგიურ ნაშრომზე („ზოგადი ადამიანთცოდნეობა“, „მეთოდურ-დიდაქტიკური კურსი“ და „სემინარული საუბრები“). ასევე, ყურადღებით დავამუშავეთ კრისტოფ ვიხერტის წიგნი ბავშვის განხილვის თემაზე „შენ უნდა შეძლო მისი საიდუმლოს ამოხსნა...“ დამუშავდა ყოველდღიური პედაგოგიური პრაქტიკისთვის საკვანძო თემები - ემოციური რეგულაცია, თხრობა, ეპოქების დაგეგმვა და განხორციელება და ა.შ.

გარდა ამისა, 2023 წლის იანვარში ორი კვირის განმავლობაში გვყავდა სტუმრად მენტორი, ბატონი კრისტოფ იოჰანსენი (IAO). ის ესწრებოდა სკოლის გაკვეთილებს, აანალიზებდა სკოლის შესაბამის ორგანოებთან ერთად „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ განვითარების ამჟამინდელ მდგომარეობას და ეცნობოდა სამომავლო გეგმებს. მან წაიკითხა ლექციები პედაგოგიურ კონფერენციაზე, სკოლის კათედრასთან და სკოლის მშობლებთან ისაუბრა მნიშვნელოვან პედაგოგიურ საკითხებზე. სამუშაო ნაყოფიერი და შედეგიანი იყო კამპუსისთვის, რადგან შედარებით ახალგაზრდა გუნდმა შეძლო მიეღო ღირებული ცოდნა და რჩევები კრისტოფ იოჰანსენის მდიდარი გამოცდილებიდან. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადოთ მას გაწეული შრომისთვის!
2022/2023 სასწავლო წლის მიწურულს, ივლისის დასაწყისში, შევხვდით ბატონ ანდრო დგებუაძეს, ფილოსოფოსს. მან შემოგვთავაზა ლექცია თემაზე „დაფასებული და მომავალზე ორიენტირებული თანამშრომლობა გუნდში". გვინდა მადლობა გადავუხადოთ მას თბილი და მამოტივირებული ვიზიტისთვის!

ახალი შენობის პროექტი

„კარგ რამეს დრო სჭირდება...“ - ასე ამბობენ. იგივე ეხება „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ ახალი შენობის მშენებლობის ნებართვას. წინასწარ პროექტზე მუშაობა 2023 წელს დასაწყისში დასრულდა და ოფიციალური განაცხადი გაზაფხულზე შევიდა მერიაში. როგორც ყოველთვის, ქალაქის მერიასთან ურთიერთობა შრომატევადი და ხანგრძლივი აღმოჩნდა. სკოლისა და საბავშვო ბაღის მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში და მადლობა მათ ამისთვის.

2023 წლის 21 ნოემბერს ორივე ფაზის მშენებლობის ნებართვა მზად იყო! ძალიან გვიხარია, რომ 2024 წელი უშუალოდ მშენებლობის დაწყებით შეგვიძლია გავხსნათ. გვინდა, ვისარგებლოთ შემთხვევით და ძალიან დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს არქიტექტორს (ვალდორფის სკოლის კურსდამთავრებულს) დავით ქვრივიშვილსა და მის გუნდს კომპეტენტური მუშაობისა და ამ საკითხში გამძლეობისთვის!

ფინანსური მდგომარეობა

2023 წელს „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ მიმდინარე ფუნქციონირებამ სრულად ვერ დაფარა ხარჯები. თუმცა, დეფიციტი ნორმის ფარგლებშია, რადგან კამპუსს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ არ აქვს სრულად ათვისებული საკუთარი პოტენციალი. საბედნიეროდ, როგორც წინა წლებში, დეფიციტი დაიფარა კერძო სესხით. სკოლის გამგეობა, კოლეგია და მშობლები მადლიერნი არიან ამ შესაძლებლობისთვის. რა თქმა უნდა, კამპუსისთვის სესხი დიდი გამოწვევა და რისკიცაა, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ამ გამოწვევისთვის, რადგან დარწმუნებულები ვართ, რომ ღირებულ, მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ. ასევე დარწმუნებულები ვართ საკუთარ შესაძლებლობებში.

მადლობა მშობლებს

დასასრულს უახლოვდება 2023 წელი, რომელიც დახუნძლული იყო მშვენიერი შეხვედრებით, საინტერესო მოვლენებითა და აქტიური დახმარებით - განსაკუთრებით სკოლისა და ბაღის მშობლებისგან. ისინი ყოველთვის მზად არიან, მხარი დაუჭირონ კამპუსს რჩევებით, ბაზრობის

აქტივობებით, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტიპის სამუშაოში (რემონტი და დასუფთავების სამუშაოები), სასკოლო ექსკურსიების ორგანიზება და მრავალი სხვა გამოხატულება მხარდაჭერისა ფასდაუდებელია ჩვენთვის. გვინდა ჩვენც გამოვხატოთ გულითადი და გულწრფელი მადლობა. გმადლობთ, ძვირფასო მშობლებო!

დამატებითი ინფორმაცია

სრული ინფორმაცია „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ www.waldorf-lisi.edu.ge -ზე ან ჩვენს ოფიციალურ, რეგულარულად განახლებად ფეისბუქ გვერდზე: https://www.facebook.com/waldorflisi